

### ეროვნული ჩარჩო

საქართველომ გარკვეულ წარმატებას მიაღწია რეპროდუქციული ჯანმრთელობის პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის (MISP) დანერგვისთვის ქვეყნის მზადყოფნის მიმართულებით. ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატთან არსებული კრიზისების მართვის ეროვნული ცენტრი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს სახელმწიფო უწყებების კოორდინირებულ მუშაობას, ეროვნული მასშტაბით კრიზისულ ვითარებაში (საქართველოს მთავრობის 2019 წლის #337 დადგენილება). გარდა ამისა, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნულ გეგმაში აღწერილია 17 ფუნქცია. უსაფრთხოების გეგმაში მოცემული N6 ფუნქციის თანახმად, საგანგებო სიტუაციების დროს ჯანდაცვის სამინისტრო ახორციელებს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს: გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა და სამედიცინო დახმარების მიწოდების კოორდინირება; საგანგებო სიტუაციებისთვის სამედიცინო დახმარების ბრიგადებისა და დაწესებულებების მზადყოფნის უზრუნველყოფა; სანიტარიულ-ჰიგიენური და ანტიეპიდემიური ღონისძიებების გატარება; გარდაცვალების ფაქტების რეგისტრაცია; კატასტროფის ზონაში მყოფი მოსახლეობისათვის სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების ორგანიზება; განსაკუთრებით საშიში პათოგენებისგან მოსახლეობის დაცვის უზრუნველყოფა; სამედიცინო დანიშნულების გრანსპორტის უზრუნველყოფა.

### გამოწვევები

- არ არსებობს ფორმალური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების ეროვნულ დონეზე კოორდინაციას და ეროვნულ დონეზე არსებული დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას;
- ეროვნულ და ქვეეროვნულ დონეზე არ არსებობს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისათვის დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიმართულებით იმუშავენ;
- საკოორდინაციო მექანიზმებში მოსახლეობის მარგინალიზებული ჯგუფების საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების/საოჯახო ორგანიზაციების ჩართვის ნაკლებობა.

### შემოქმედება

- ამგვარი ჯგუფი არსებობს მხოლოდ გაეროს სტიქიური უბედურებების მართვის გუნდის (DMCT) ფარგლებში. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისათვის დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფი წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას ძირითადი დაინტერესებული მხარეებისთვის, იგი კოორდინაციას უწევს ღონისძიებას საქმიანობასა და მხარდაჭერას, ასევე ხელს უწყობს ქვეყნებისთვის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისათვის დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ კონსულტაციის გაწევას და აწევის მათ რჩევებს საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის, კატასტროფების რისკის მართვისა და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ყველა ასპექტში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების სამომავლო ჩართვის მიმართულებით. 2011 წლიდან ძირითადი პარტნიორები - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისი; ასოციაცია პერა XXI, დაგეგმული მშობლობის საერთაშორისო ფედერაციის ევროპის ქსელის (IPPF EN) წევრი ასოციაცია (MA) საქართველოში, რომლებიც მუშაობენ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე, თანამშრომლობენ საგანგებო სიტუაციებში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროს მართვის მიმართულებით. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხებზე პასუხისმგებელ სამუშაო ჯგუფს აქვს არაფორმალური სტატუსი. არ არსებობს ფორმალური კოორდინაციის მექანიზმი.
- საგანგებო სიტუაციების დროს, ღვდთა და ბავშვთა ჯანმრთელობის ეროვნულ საკოორდინაციო საბჭოს შეიძლება დაეხმოს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების მართვა და კოორდინაცია. თუმცა, არ წარმოებს პასუხისმგებლობათა მკაფიო განსაზღვრა და მათი კონკრეტულ უწყებებზე დელეგირება.
- არ არსებობს ფორმალური საკოორდინაციო მექანიზმი, რომელიც მოიცავს მოსახლეობის მარგინალიზებული ჯგუფების საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების/საოჯახო ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოაჩენენ და ახმოვანებენ ისეთი ჯგუფების საჭიროებებს, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები და კაცები, აივ ინფიცირებული პირები, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვისა და სქესის მახასიათებლების მქონე პირები (SOGIESC), ახალგაზრდული ჯგუფები, რელიგიური ლიდერები, სექსუალური, ეთნიკური უმცირესობები და ა.შ.

# კატასტროფათა მართვისას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კოორდინაციის მექანიზმები

## რეპროდუქციული ჯანმრთელობის პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტი (MISP)

### რეკომენდაციები

- საგანგებო სიტუაციებში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნულ დონეზე მართვისა და კოორდინაციის ფორმალური მექანიზმის ჩამოყალიბება, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე მომუშავე არაფორმალური სამუშაო ჯგუფის წევრების, ასევე იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობით, რომლებიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებთან და კაცებთან, აივ ინფიცირებულ პირებთან, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვისა და სქესის მახასიათებლების მქონე პირებთან (SOGIESC), ახალგაზრდულ ჯგუფებთან, რელიგიურ ლიდერებთან, სექსშუშაკებთან, ეთნიკური უმცირესობებთან და ა.შ.
- თემბატურ საკითხებზე ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებულ „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკოორდინაციო საბჭოსთან“ კონსულტაციების გაფართოვება;
- დელეგირება, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკოორდინაციო საბჭოს პასუხისმგებლობის მკაფიო განსაზღვრა და მის წევრებს შორის პასუხისმგებლობების მკაფიო გადანაწილება, მათ შორის სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა.

### წყაროები

- ასოციაცია "ჰერა XXI", [დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შეფასება 2017-2019 წწ.](#)
- დაგეგმილი მშობლობის საერთაშორისო ფედერაცია, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), რეპროდუქციული ჯანმრთელობის პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის (MISP) დანერგვისთვის მხადყოფნის შეფასება, საგანგებო სიტუაციებში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის (MISP) დანერგვისთვის მხადყოფნის შეფასება.

შემუშავებულია

სრულ სამუშაო ჯგუფის მიერ: ასოციაცია HERA XXI,

გაეროს მოსახლეობის ფონდი UNFPA

სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ

© ყველა უფლება დაცულია

